ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 84-67

2 ივლისი
"___" _____ 2021 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016353) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის:

ა) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი და ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი 5 ამოღებულ იქნას;

ბ) მე-11 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

გ) მე-11 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ

საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დანართი №1-ის და დანართი №2-ის შესაბამისად ამ დადგენილების ამოქმედებამდე გაცემულ საცნობ ნიშნებს იურიდიული ძალა შეუნარჩუნდეთ მათი მოქმედების ვადით.

მუხლი 3.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პარკირების ადგილისთვის განსაზღვრული საცნობი ნიშნის ფორმა

საცნობი ნიშანი არის ორგვერდიანი მართკუთხედის ფორმის 150X100 მმ. ერთ გვერდზე, მარცხენა ქვედა კუთხეში, დატანილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის აღმნიშვნელი თეთრი ფერის სიმბოლო, მარჯვენა ქვედა კუთხეში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გერბი, მის ქვემოთ ტექსტით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია", ზედა მარცხენა მხარეს შემდეგი გრაფები: „მოქმედების ვადა"- მიეთითება საცნობი ნიშნის მოქმედების ბოლო ვადა, „გამცემი ორგანო: სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო" და „სერიული ნომერი"- მიეთითება საცნობი ნიშნის უნიკალური ნომერი. ამავე გვერდის ზემოთ, ცენტრში, დატანილია ტექსტი „აჩვენეთ წინა მხარე", ხოლო მარჯვენა მხარეს გერბის თავზე დატანილია ტექსტი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პარკირების საცნობი ნიშანი", გვერდის ქვედა შუა ნაწილში კი დატანილია ბარკოდი. მეორე გვერდზე ზედა ნაწილში დატანილია ტექსტი: „ეს საცნობი ნიშანი მფლობელს აძლევს უფლებას ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ისარგებლოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის განსაზღვრული პარკირების ადგილით. საცნობი ნიშანი განთავსებული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების წინა საქარე მინაზე ისე, რომ უფლებამოსილი პირის მიერ შესაძლებელი იყოს მისი ამოკითხვა", ამ უკანასკნელი ტექსტის ქვემოთ, მარჯვენა მხარეს დატანილია ტექსტი: „საცნობი ნიშნის არადანიშნულებისამებრ გამოყენება ისჯება კანონით!", ხოლო ქვედა მარჯვენა მხარეს დატანილია გრაფები: „გვარი", „სახელი" და „პირადი ნომერი", რომლებშიც შეიტანება იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გვარი, სახელი და პირადი ნომერი, რომელზეც გაიცემა საცნობი ნიშანი.

აჩვენეთ წინა მხარე

მოქმედების ვადა:

გამცემი ორგანო:

სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

სერიული ნომერი: 00001

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პარკირების საცნობი ნიშანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეს საცნობი ნიშანი მფლობელს აძლევს უფლებას ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ისარგებლოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის განსაზღვრული პარკირების ადგილით. საცნობი ნიშანი განთავსებული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების წინა საქარე მინაზე ისე, რომ უფლებამოსილი პირის მიერ შესაძლებელი იყოს მისი ამოკითხვა.

გვარი:

სახელი:

პირადი ნომერი:

საცნობი ნიშნის არადანიშნულებისამებრ გამოყენება ისჯება კანონით!

150X100 მმ

დანართი №2

ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებისთვის განსაზღვრული საცნობი ნიშნის ფორმა

საცნობი ნიშანი არის კვადრატის ფორმის 80X80 მმ (კუთხეებში მომრგვალებული), ლურჯ ფონზე (კიდეებზე თეთრი ზოლით) განთავსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის აღმნიშვნელი თეთრი ფერის სიმბოლოთი, ასევე სატრანსპორტო საშუალების ნომრისა და საცნობი ნიშნის მოქმედების ვადის აღმნიშვნელი რეკვიზიტებით.